

თავი 1 შესავალი



სარჩევი

1	შესავალი	1-1
1.1	ზოგადი	1-1
1.2	წინასწარი ინფორმაცია SCP-ს შესახებ	1-1
1.3	გონივრული დასაბუთება SCPX-სთვის	1-2
1.4	SCP-ის ოპერატორი: SCPC-სა და BP-ს ურთიერთობა	1-4
1.5	ESIA-ს პროცესი	1-4
1.5.1	მიზნები	1-4
1.5.2	სამუშაოს მოცულობა	1-5
1.5.3	ESIA პროცესის საფეხურები	1-5
1.6	ESIA-ს სტრუქტურა	1-7

ცხრილები

ცხრილი 1-1:	ESIA-ს სტრუქტურა	1-8
-------------	------------------------	-----

სურათები

სურათი 1-1:	აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში BP-ს ინტერესების ამსახველი ზოგადი რეგიონალური რუკა	1-2
სურათი 1-2:	შაჰ-დენიზის საბადოს კომპლექსური ექსპლუატაციის ზოგადი მიმოხილვა	1-3
სურათი 1-3:	ასახავს მთლიან SCPX პროექტსა და მიწისზედა ნაგებობებს	1-4

1 შესავალი

1.1 ზოგადი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების წინამდებარე შეფასება (ESIA) აფასებს პოტენციურ უარყოფით და დადებით ზემოქმედებებს და განიხილავს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შერბილებასა და მართვას, რომლებიც პოტენციურად უკავშირდება საქართველოში განსახორციელებელი სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების (SCPX) პროექტს. ეს დოკუმენტი მომზადებულია ნებართვის მიღების განაცხადის მხარდაჭერის მიზნით. წინამდებარე ESIA-ში რეკომენდირებული საქმიანობა საჭიროებს კომპეტენტური ორგანოების თანხმობას.

SCPX პროექტი ექვემდებარება SCP ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში (HGA) მოცემულ მოთხოვნებს; ხელშეკრულება დაიდო საქართველოს მთავრობასა და ბი-პი ექსპლორეიშენ (აზერბაიჯანი) ლიმიტედ-ს შორის (inter alia). ESIA მომზადებულია აღნიშნული SCP HGA-ის მოთხოვნების და „გარემოზე ზემოქმედებაზე ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის“ (14 დეკემბერი, 2007 წ.) და „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ქართული ნორმების“ (9 მარტი, 2009 წ.) მოთხოვნების შესაბამისად ისე, რომ ეს მოთხოვნები წინააღმდეგობაში არ ყოფილიყო HGA-სთან.


SCPX-ს ESIA ანგარიშის პროექტი მომზადდა საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფის RSK Environment Limited-ის (RSK) მიერ, რომელიც სპეციალიზებულია ბუნებრივი და სოციო-ეკონომიკური გარემოს შეფასებაში, ქართველ პროფესიონალ პარტნიორ კომპანიებთან - „მელქვა“ და ACT Research ერთად, რომლებიც წარმოადგენენ აღიარებულ და გამოცდილ საკონსულტაციო ჯგუფებს ბუნებრივი და სოციო-ეკონომიკური გარემოს შეფასების სფეროებში, შესაბამისად.

1.2 წინასწარი ინფორმაცია SCP-ს შესახებ

სამხრეთ კავკასიური მილსადენი (SCP) არის ბუნებრივი აირის მილსადენი, რომელიც ახდენს ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას სანგაჩალის ტერმინალიდან (შეიქმნა შაჰდენიზის საბადოს ექსპლუატაციის პირველ ფაზაში) საქართველო-თურქეთის საზღვრამდე. SCP მილსადენი პარალელურად მიყვება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნედლი ნავთობის მილსადენს აზერბაიჯანსა და საქართველოში და გრძელდება თურქეთის ტერიტორიაზე, სადაც იგი უერთდება თურქეთის ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემას. სამშენებლო პროცესი დაიწყო 2004 წელს და დასრულდა 2006 წლის ბოლოს. მილსადენის სიგრძეა 690 კმ, დიამეტრი – 42”, ხოლო სისტემის საპროექტო წარმადობა – 7მლრდ. კუბ. მ. (მილიარდი კუბური მეტრი წელიწადში).

ბუნებრივი აირის მიწოდება თურქეთში დაიწყო 2006 წლის სექტემბერში. 2010 წელს SCP-ს დღიური გამტარიანობა იყო დაახლოებით 12.5 მილიონი კუბური მეტრი აირი, ანუ დაახლოებით 73,500 ბარელი ნავთობის ექვივალენტი დღეში.

SCP-ს ადგილმდებარეობას ასახავს სურათი 1-1, სადაც SCP-ს აზერბაიჯანისა და საქართველოს მონაკვეთები აღნიშნულია წითლად, ხოლო თურქეთის გადამცემი სისტემა ქალაქ ერზერუმამდე – ლურჯად.



სურათი 1-1: აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში BP-ს ინტერესების ამსახველი ზოგადი რეგიონალური რუკა


1.3 გონივრული დასაბუთება SCPX-სთვის

SCPX პროექტი მიზნად ისახავს არსებული SCP სისტემის წარმადობის გაზრდას ისე, რომ მან შეძლოს დამატებითი ბუნებრივი აირის გატარება კასპიის საბადო შაჰ დენიზის მე-2 ფაზის (SD2) ექსპლუატაციისას. პროექტის საბაზისო ვარიანტი ითვალისწინებს არსებული SCP მილსადენის საშუალებით ბუნებრივი გაზის წარმადობის გაზრდას დამატებითი 16 მილიარდი კუბური მეტრით, რის შემდეგაც სისტემის მთლიანი წარმადობა მიაღწევს 23 მილიარდ კუბურ მეტრს წელიწადში.

შაჰ-დენიზის საბადოს მეორე ეტაპის ექსპლუატაცია მოიცავს ორი ახალი, ერთმანეთთან ხიდით დაკავშირებული, საზღვაო პლატფორმის მშენებლობას; 26 ზღვის ჭაბურღილს; 125 კმ სიგრძის წყალქვეშა მილსადენსა და სანგაჩალის ტერმინალის გაფართოებას. არსებულ SCP-ს არ გააჩნია SD2-ს ფარგლებში წარმოებული დამატებითი პროდუქციის გატარების სიმძლავრე. რეკომენდირებულია, რომ აღნიშნული დამატებითი წარმადობა დაკმაყოფილდეს SCPX-ის მშენებლობის ხარჯზე.

SD2 და SCPX პროექტები არის შაჰ-დენიზის საბადოს კომპლექსური ექსპლუატაციის (FFD) შემადგენელი ნაწილი. შაჰ დენიზის პროექტი მიზნად ისახავს ბუნებრივი გაზის აზერბაიჯანიდან ევროპასა და თურქეთში ტრანსპორტირებას. ეს ნიშნავს ევროპის ბაზრებისთვის მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობის გაზრდასა და ამ ბაზრების ენერჯო უსაფრთხოებას, ბუნებრივი გაზის ახალი, სამხრეთის დერეფნის გახსნის გზით. შაჰ-დენიზის კონსორციუმში ამჟამად განიხილავს წინადადებას ბუნებრივი გაზის თურქეთიდან ევროპაში ტრანსპორტირების თაობაზე. შაჰ-დენიზის საბადოს კომპლექსური ექსპლუატაციის შესახებ წინადადების ზოგადი მიმოხილვა ნაჩვენებია ქვემოთ (იხ. სურათი 1-2).

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში



სურათი 1-2: შპ3-დენიზის საზღაოს კომპლექსური ექსპლუატაციის ზოგადი მიმოხილვა

მილსადენი საქართველოს მოუტანს შემდეგ სარგებელს:

- SCPX პროექტი საქართველოს მთავრობას მოუტანს დამატებით შემოსავალს, შპ3-დენიზის საზღაოს კომპლექსური ექსპლუატაციის შედეგად წარმოებული გაზის საქართველოს ტერიტორიაზე გატარებისთვის სატრანზიტო გადასახადის სახით
- SCPX პროექტი, აგრეთვე, ითვალისწინებს საქართველოს გაზის სახელმწიფო სისტემაში ბუნებრივი გაზის მოცულობის გაზრდას დამატებით 0.76 მილიარდი კუბური მეტრით.

საქართველოში SCP მილსადენის გაფართოება ამჟამად ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების ჩატარების საჭიროებას:

- საქართველოს საზღვრიდან, 56 კმ მანძილზე ახალი 56” დიამეტრის მილსადენის მშენებლობა არსებული SCP მილსადენის პარალელურად, აღნიშნულ SCP მილსადენთან შეერთებამდე
- ახალი ჩამკეტი სარქველის (BV) მონტაჟი კმნ28-სთან და დგუშის სადგურის განთავსება კმნ56-თან, სადაც ახალი მილსადენი უერთდება არსებულ SCP მილსადენს
- ახალი საკომპრესორო სადგურის (CSG1) მშენებლობა, რომელიც განთავსდება არსებული BTC მილსადენის დამხმარე ნაგებობასთან, რუსთავთან ახლოს, კმნ03-თან. სადგურზე ასევე დამონტაჟდება საზომი მოწყობილობა საზღვრის გადაკვეთის ადგილზე, მილსადენის დგუშის ინფრასტრუქტურა და მოწყობა გაზსარინი, აღჭურვილი წნევის მარეგულირებელი და გამზომი მოწყობილობით, საქართველოს გაზომომარაგების სისტემაში ბუნებრივი გაზის გასაშვებად
- მეორე საკომპრესორო სადგურის (CSG2) მშენებლობა აუთვისებელ ტერიტორიაზე კმნ142-თან, არსებულ SCP მილსადენზე წალკის ტბის დასავლეთით, ათასწლეულის მაგისტრალიდან 16 კმ-იანი მისასვლელი გზით

- წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგურის (PRMS) მშენებლობა საქართველო-თურქეთის საზღვართან, რომელიც განთავსდება არსებულ SCP სადგურთან, უბანი 80.

შემოთავაზებული SCPX პარალელური მილსადენის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მარშრუტი ნაჩვენებია ქვემოთ (იხ. სურათი 1-3). პროექტის ქართული მონაკვეთი უფრო დეტალურადაა აღწერილი მე-5 თავში (პროექტის აღწერა).



სურათი 1-3: ასახავს მთლიან SCPX პროექტსა და მიწისზედა ნაგებობებს

1.4 SCP-ის ოპერატორი: SCPC-სა და BP-ს ურთიერთობა

არსებული SCP მილსადენის მფლობელია სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის კომპანია (SCPC), კონსორციუმი, რომელსაც ხელმძღვანელობენ კომპანიები ბი-პი ექსპლორეიშენ (აზერბაიჯანი) ლიმიტედ (BP) და Statoil, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია (SOCAR), ლუკოილი, Total S.A., ირანის ნავთობკომპანია Naftiran Intertrade Co. და თურქეთის ნავთობკომპანია Türkiye Petrolleri Anonim Ortaklığı (TPAO). BP არის მილსადენის ტექნიკური ოპერატორი, ხოლო Statoil – კომერციული ოპერატორი.

ამდენად, წინამდებარე ESIA დაიწერა SCPC-თვის, რომელიც წარმოადგენს SCPX-ის ოპერატორ კომპანიას. თუმცა, რამდენადაც BP-ს მინიჭებული აქვს ტექნიკური ოპერატორის სტატუსი, იქ სადაც არის ამის საჭიროება, გათვალისწინებულია სწორედ BP-ს პოლიტიკა და პრაქტიკა.

1.5 ESIA-ს პროცესი

1.5.1 მიზნები

SCPX პროექტისთვის ESIA პროცესის მთავარი მიზანია ბუნებრივ ან სოციო-ეკონომიკურ გარემოზე პროექტის საქმიანობით გამოწვეული ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედების განსაზღვრა და, შეძლებისდაგვარად, აღმოფხვრა ან მინიმუმამდე შემცირება, აღნიშნული უარყოფითი ზემოქმედების ადრეულ ეტაპზე დაფიქსირების გზით, და შემარბილებელი ღონისძიებების ჩართვა პირველადი საინჟინრო გათვლების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესებში. ESIA-ს პროცესის მიზანია:

- ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პროექტის უარყოფითი და დადებითი ზემოქმედებების დადგენა და შეფასება
- შეფასების შედეგების გამოყენება ვარიანტების შერჩევისა და პროექტის საბოლოო ვერსიის შემუშავებისთვის
- შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება, რათა თავიდან იქნას აცილებული, მინიმუმამდე შემცირებული ან შესუსტებული სტეპული ბუნებრივ ან სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებები, ხოლო, მეორეს მხრივ, გაიზარდოს შესაძლო დადებითი ზემოქმედებების მნიშვნელობა
- ინფორმაციის მომზადება ფონური მდგომარეობის შესახებ, რომლის გათვალისწინებით შესაძლებელი იქნება კონკრეტული პროექტიდან გამომდინარე ზემოქმედებების შესწავლა და სათანადო რეგულირება
- კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და მათგან საპასუხო კომენტარების მიღება.

წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დაგეგმილ SCPX პროექტთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგად შეფასდა შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- გარემოსდაცვითი ნორმები, სტანდარტები და სახელმძღვანელოები, რომლებიც ეხება SCPX პროექტით გათვალისწინებულ მშენებლობასა და ექსპლუატაციას (ზოგ შემთხვევაში, მხოლოდ კრიტერიუმების დადგენის მიზნით)
- ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის არსებული მდგომარეობა
- დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილი საკითხები და პრობლემები.

1.5.2 სამუშაოს მოცულობა

წინამდებარე ESIA მოიცავს SCPX პროექტის ყველა კომპონენტს, რომელიც მდებარეობს საქართველოს საზღვრებს შიგნით.

ESIA–ს გეოგრაფიულ საზღვრებში გათვალისწინებულია:

- შესასრულებელი სამუშაოების ფიზიკური განფენილობა პროექტის ადგილმდებარეობის ფარგლებში, ინფრასტრუქტურის, მილსადენის მარშრუტის, მდინარეების კვეთისა და ყველა დროებითი სამუშაოების ჩათვლით, რომლებიც სრულდება პროექტის ძირითადი სამუშაოების ხელშეწყობის მიზნით
- ფონური გარემოს ხასიათი და ის წესი, რომლითაც უარყოფითი ზემოქმედება შესაძლოა, გავრცელდეს მშენებლობის ადგილმდებარეობის საზღვრებს მიღმა.

ESIA–ს დროითი საზღვრები მოიცავს პროექტის შემუშავების, მშენებლობის, ექსპლუატაციისა და ექსპლუატაციიდან გამოყვანის ფაზებს. დროითი საზღვრები ასევე ითვალისწინებს დღის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც დაგეგმილია სამუშაოების შესრულება.

1.5.3 ESIA პროცესის საფეხურები

ESIA პროცესი, რომელიც დადგინდა SCPX პროექტისთვის, დეტალურადაა აღწერილი მე-3 თავში (მიდგომა და მეთოდოლოგია). ზოგადად, იგი მოიცავს რამდენიმე, ქვემოთ ჩამოთვლილ, მიმდინარე და პარალელურ საქმიანობას:

- სკრინინგი: ეს საფეხური მოიცავს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებების ადრეულ იდენტიფიცირებას ბუნებრივი და სოციალური გარემოს ძირითადი სენსიტიურობების და ამ სენსიტიურობებზე პროექტის შესაძლო ზემოქმედებების წინასწარი გააზრებისთვის
- მოიცავს ალტერნატიული ვარიანტების შეფასებას პროექტის კონცეფციის, მილსადენის მარშრუტის ვარიანტების, ტექნიკური მიდგომების და შემარბილებელი ზომების ალტერნატივების თვალსაზრისით
- სამუშაოს მოცულობის დადგენა: გრძელდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების მთელი პროცესის განმავლობაში და რამდენიმე ისეთ ცალკეულ ელემენტს მოიცავს, როგორცაა 'დაინტერესებული მხარეების' იდენტიფიკაცია და წინასწარი კონსულტაციები, პროექტის ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის დამუშავება და პოტენციური ზემოქმედებების წინასწარი შეფასება
- კონსულტაცია: ეს საფეხური მოიცავს როგორც პროექტის შესახებ ინფორმაციის მთავარ დაინტერესებულ მხარეებისთვის მიწოდების საკითხს (მაგ. ადგილობრივი დასახლებები და ხელისუფლების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი და ეროვნული დონის პრესის წარმომადგენლები), ასევე პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების შემდგომი იდენტიფიკაციის საკითხის გადაწყვეტასაც, პირისპირ შეხვედრების დროს. დადასტურებულია ის ფაქტი, რომ კონსულტაციებსა და დიალოგს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამდენად, განზრახულია, რომ ასეთი სახის ჩართულობა გაგრძელდეს მშენებლობისა და ექსპლუატაციის მთელი პროცესის განმავლობაში
- ფონური მონაცემების შეგროვება: ამ საფეხურზე გათვალისწინებულია ბუნებრივი და სოციო-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობისა და პროექტის მონაწილე მხარეებისა და ადგილობრივი მოსახლეობის პროექტისადმი დამოკიდებულების დადგენა არსებული მონაცემების შესწავლის, ეკოლოგიური კვლევებისა და შინამეურნეობებში სოციალური გამოკვლევების ჩატარების გზით
- შეფასება: ამ საფეხურზე გათვალისწინებულია მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების იდენტიფიკაცია და შემდგომი შეფასება და მათი მნიშვნელობის განსაზღვრა. აქვე შედის პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების შემცირებისათვის და, პარალელურად, პროექტთან დაკავშირებული სარგებლის გაზრდისთვის საჭირო ღონისძიებათა კვლევისა და შემუშავების საკითხები
- საჯარო განხილვა: საჯარო განხილვა დაიწყო ESIA ანგარიშის პროექტისა და სხვა საჯარო მასალების, მათ შორის დასახლებებში ბროშურებისა და არატექნიკური რეზიუმეს გავრცელებით, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო ინფორმაციის გავრცელების საზოგადოებრივ დაწესებულებებში (ბიბლიოთეკები), ადგილობრივ ადმინისტრაციულ ოფისებში და ასევე, ბი-პი კასპის ზღვა და ბი-პი საქართველოს ვებსაიტებზე და ა. შ. ინფორმაციის გამოქვეყნების პერიოდის დასრულების შემდეგ, მოეწყო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრესთან. საჯარო განხილვის პროცესი ემსახურებოდა ორმაგ მიზანს:
 - დაინტერესებული მხარეებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება, რათა მათ სრულად გაიაზრონ შემოთავაზებული პროექტის უარყოფითი

ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებები

- დისკუსიის გამართვა დაინტერესებულ მხარეებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს შორის და მათი კომენტარების მოსმენა შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებების თაობაზე. პროექტის საჯარო განხილვის პროცესში მიღებული კომენტარები განხილული იქნა და, საჭიროებისამებრ, გათვალისწინებული იქნა ESIA ანგარიშში.

მაშინ როცა ESIA ანგარიში, ამჟამად, წარმოადგენს ESIA პროცესის კვლევის შედეგებსა და რეკომენდაციებს, განზრახულია, რომ პროექტის განხორციელების ფაზებში ეკოლოგიური და სოციალური მოსაზრებების ჩართვა გახდეს მართვის პროცესის მუდმივი და დინამიკური კომპონენტი. ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის უსაფრთხოებისა და კონტროლის უზრუნველყოფის მთავარი საშუალებაა მართვისა და მონიტორინგის გეგმების ნაკრები, რომელიც შეადგენს ამ ESIA ანგარიშის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი D).

მართვისა და მონიტორინგის გეგმები უზრუნველყოფს, პროექტის მშენებლობის ფაზის პერიოდში მიმდინარე ყველა შესაბამისი საქმიანობის მართვისათვის საჭირო ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის ფოკუსირებული სისტემის მომზადებისა და რეალიზაციის ტექნიკურ საფუძველს. არსებითად, განზრახულია, რომ მართვისა და მონიტორინგის გეგმები დაიხვეწოს და განვითარდეს პროექტის პროგრესის პარალელურად, იმ მიზნით, რომ სამუშაოების შესრულების ხარისხი მუდმივად ვითარდებოდეს ეფექტურობის ძირითად მაჩვენებლებთან მიმართებაში. წინამდებარე ESIA მოიცავს დასმული ამოცანების შესრულების საკითხს, ხოლო ახალი ამოცანების განხორციელების საკითხი გადავა ოპერატიული მართვის გეგმებში.

1.6 ESIA-ს სტრუქტურა

წინამდებარე ESIA დოკუმენტი მოიცავს 16 თავს და 5 დანართს (A-E) როგორც მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 1-1). დოკუმენტი:

- წარმოადგენს შემოთავაზებული SCPX პროექტის აღწერას
- დეტალურად აღწერს ბუნებრივ და სოციალურ ფონურ მდგომარეობას ინფრასტრუქტურის ადგილებსა და მილსადენის მარშრუტის დერეფნის გასწვრივ
- განსაზღვრავს და აფასებს პროექტის განხორციელების ტერიტორიაზე პოტენციური ზემოქმედებებს, ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით
- განსაზღვრავს შემარბილებელ ღონისძიებებს SCP HGA მოთხოვნებისა და ნორმების შესაბამისად
- აფასებს ნარჩენი ზემოქმედების პოტენციურ მნიშვნელობას
- განსაზღვრავს ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვასა და მონიტორინგს, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია პროექტის სამშენებლო ფაზის განმავლობაში და მილსადენის ექსპლუატაციისას.

ცხრილი 1-1: ESIA-ს სტრუქტურა

არატექნიკური რეზიუმე	ESIA ანგარიშის შინაარსი, გადმოცემული არატექნიკური ენით
თავი 1 შესავალი	SCPX პროექტის ზოგადი შესავალი, შეფასების მიზნების მოკლე მონახაზი; და ESIA ანგარიშის სტრუქტურა
თავი 2 ტერმინოლოგია და აბრევიატურები	ტერმინოლოგია, ლათინური დასახელებები, გამოყენებული საზომი ერთეულები და აბრევიატურები
თავი 3 მიდგომა და მეთოდოლოგია	ESIA შეფასების შესასრულებლად გამოყენებული მეთოდების აღწერა
თავი 4 პროექტის განხორციელება და ალტერნატივების შეფასება	SCPX პროექტისთვის განხილული ალტერნატიული ვარიანტების აღწერა
თავი 5 პროექტის აღწერა	SCPX პროექტის დეტალური აღწერა
თავი 6 პოლიტიკა, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო	შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური ნორმებისა და სახელმძღვანელოების, ასევე, BP და HSE პოლიტიკის, გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტებისა და მოლოდინების აღწერა
თავი 7 ბუნებრივი გარემოს ფონური მდგომარეობა	SCPX პროექტის არეალში არსებული ფიზიკური და ბიოლოგიური გარემო პირობებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღწერა
თავი 8 სოციო-ეკონომიური გარემოს ფონური მდგომარეობა	SCPX პროექტის არეალში არსებული სოციო-ეკონომიკური პირობების აღწერა
თავი 9 კონსულტაციის პროცესი	SCPX პროექტისათვის ინფორმაციის მოძიების მიზნით ჩატარებული საკონსულტაციო პროცესის აღწერა
თავი 10 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებები და შემარბილებელი ღონისძიებები (დაგეგმილი საქმიანობები)	SCPX პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებებიდან გამომდინარე ბუნებრივ და სოციო-ეკონომიკურ გარემოზე პოტენციური ზემოქმედებების შეფასება
თავი 11 კუმულაციური და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები	SCPX პროექტის სხვა, ამ რაიონში მოქმედ, პროექტებთან ურთიერთქმედების შედეგად გამოწვეული პოტენციური კუმულაციური ზემოქმედებისა და SCPX პროექტიდან გამომდინარე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებების შეფასება
თავი 12 საფრთხეების ანალიზი და რისკის შეფასება (დაუგეგმავი მოვლენები)	ბუნებრივ და სოციო-ეკონომიკურ გარემოზე SCPX პროექტის დაუგეგმავი მოვლენების პოტენციური ზემოქმედებების შეფასება
თავი 13 მართვა და მონიტორინგი	ბუნებრივი და სოციო-ეკონომიკური გარემოს მართვის სისტემისა და გეგმების, ასევე, მონიტორინგის შემოთავაზებული ღონისძიებების აღწერა
თავი 14 პროექტის საერთო შეფასება	ზოგადი დასკვნა SCPX პროექტით გამოწვეული ნარჩენი ზემოქმედების შესახებ
თავი 15 გამოყენებული ლიტერატურა	ყველა გამოყენებული ლიტერატურული წყაროს ჩამონათვალი
თავი 16 ESIA-ს ავტორები	აქ დეტალურადაა აღწერილი ESIA მომზადების პროცესში ჩართული მონაწილეები, დამხმარე პირები და ადგილობრივი ინსტიტუტები

<p>დანართი A შეზღუდვების რუკები</p>	<p>რუკები, რომლებზეც ნაჩვენებია ბუნებრივ გარემოსთან, კულტურულ მემკვიდრეობასა და სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებული შეზღუდვები მილსადენის და მისი ინფრასტრუქტურის გასწვრივ, მისასვლელ გზებთან და სამშენებლო ბანაკებთან/მიწების სასაწყობე ეზოებთან</p> <p>ლანდშაფტის მოდელირება</p>
<p>დანართი B ზემოქმედების შეფასებისა და შემარბილებელ ღონისძიებათა ცხრილები</p>	<p>ზოგადი და კონკრეტულ ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული, სპეციფიკური ზემოქმედებებისა და შემარბილებელ ღონისძიებათა ცხრილი</p>
<p>დანართი C C1 საჯარო განხილვის და კონსულტაციების გეგმა C2 პასუხები ESIA ანგარიშის საჯარო განხილვის ეტაპზე მიღებულ შენიშვნებზე C3 ESIA შესწორებების რეესტრი</p>	<p>საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა (PCDP)</p> <p>ESIA საჯარო განხილვის დროს მიღებული ყველა შენიშვნის და პროექტის პასუხების (ESIA ცვლილებების ჩათვლით) ჩამონათვალი</p> <p>ESIA ანგარიშის პროექტსა და ანგარიშის საბოლოო ვარიანტს შორის არსებული განსხვავებების განახლება</p>
<p>დანართი D სამშენებლო ფაზის ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვისა და მონიტორინგის გეგმა</p>	<p>ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის ყოვლისმომცველი გეგმა ESMMP, მოიცავს მართვის გეგმებს ინდივიდუალურ თემებზე: <i>ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვისა და მონიტორინგის გეგმა</i> <i>აღდგენის გეგმა</i> <i>ლანდშაფტის მართვის გეგმა</i> <i>ეკოლოგიური მართვის გეგმა</i> <i>ნარჩენების მართვის გეგმა</i> <i>დაბინძურების პრევენციის გეგმა</i> <i>რესურსების მართვის გეგმა</i> <i>სამშენებლო მოედნის მართვის გეგმა</i> <i>ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მართვის გეგმა</i> <i>მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, უსაფრთხოების და უშიშროების გეგმა</i> <i>საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმა</i> <i>ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და პროფესიული სწავლების გეგმა</i> <i>შესყიდვებისა და მიწოდების გეგმა</i> <i>კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა</i> <i>მიწის მართვის გეგმა</i></p>
<p>დანართი E ვალდებულებათა რეესტრი</p>	<p>ESIA-ს მიხედვით შესრულებული ყველა ვალდებულების რეესტრი</p>

ESIA პროცესი დაეყრდნო მრავალ გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ წყაროს. ეს წყაროები სრულადაა მითითებული მე-15 თავში. ESIA-ში სინთეზირებული და შეჯერებულია ESIA პროცესთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ინფორმაცია ისე, რომ ESIA ანგარიში და თანმხლები დანართები წარმოდგენილია დამოუკიდებელი,

სრულყოფილი დოკუმენტების კრებულის სახით. თუმცა, არსებობს „ანგარიში ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის შესახებ“ რითაც შესაძლოა დაინტერესდნენ მხარეები, რომლებსაც სურთ კონკრეტული საკითხების უფრო დეტალური შესწავლა. აღნიშნული ანგარიში ფონური მდგომარეობის შესახებ ხელმისაწვდომია, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შემდეგ მისამართზე:

BP საქართველო

სულხან ცინცაძის ქ. # 24 (ყოფილი საბურთალოს ქუჩა # 38)

თბილისი 0160

ESIA წარმოდგენილია ინგლისურ და ქართულ ენებზე. ყველა ღონე მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ ESIA ანგარიშის ქართული თარგმანი ზუსტად შეესაბამებოდეს ინგლისური ორიგინალის მიზანს და შინაარსს. ამ განსხვავებული ენობრივი ვერსიების რომელიმე დებულების ან შესაბამისი თარგმანის განმარტებისას წარმოქმნილი ნებისმიერი შეუსაბამობისა თუ უთანხმოების შემთხვევაში, სადავო ტექსტი დაექვემდებარება შემდგომ განხილვას და შეთანხმებული იქნება SCPC-სა და გარემოს დაცვის სამინისტროს შორის.